



გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

საქ. კვ. ზუგდიდის საკლასო კომიტეტისა და სახალხო დემოკრატიის საკლასო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,
ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებულება

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს
მრეწველობის განყოფილების
შეწყობის განყოფილება

შეწყობის განყოფილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის უზენაესი საბჭოს მეოთხე. სესია 1990 წლის 10 სექ-
ტემბერს, ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ლუკინიანი.
მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 10 აგვისტო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის პრეზიდიუმის 1990 წლის
25 ივლისის ბრძანებულების შესრულების
გადის გაგრძელების შესახებ

გთვალისწინებ რა მოკავშირე რესპუბლიკიდან მიღებულ
მომხმარებელს, რომ მოეწყოს დამატებითი ღონისძიებანი „სსრ კავშირის
რის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეიარაღებული
ფორმირებების შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონოდ შე-
ნაწესი შემთხვევებში მისი ამოღების შესახებ“ სსრ კავშირის
პრეზიდიუმის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების მოთხოვ-
ნათა შესრულების უზრუნველსაყოფად, ვადგინე:

1. ორი თვით გაგრძელდეს უკანონო შეიარაღებული ფორმირე-
ბების მიერ იარაღის, ტყვიის-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერე-
ბების, საბრძოლო ტექნიკისა და სხვა სამხედრო ქონების ნებაყ-
იდობითი წაბარების ვადა, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის
პრეზიდიუმის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების პირ-
ველი მუხლით.

2. ეს ბრძანებულება ძალაშია დადგინებული მისი მიღების მომენტიდან.
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდიუმი
ბ. გორბატოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 11 აგვისტო.

ნ ა ი — 90 მოკრეულია 46.569 ტონა

28 აგვისტოსათვის რაიონის
საზოგადოებრივი მეურნეობებ-
ში მოკრეულია და გადაამუშა-
ვებულ მრეწველობას ჩაბარდა
46.569 ტონა ჩაის მწვანე ფოთ-
ლოლი, რაც 1814 ტონით ნაკლებია
შარშანდელ შესაბამის პე-
რიოდთან შედარებით. წლიური
დავალება შესრულებულია
74,6 პროცენტით, კვირას 12
აგვისტოს დამდეგად 704 ტონა
შეღებულ ანუ 29 ტონით მეტი
ვიდრე შარშან ამ დღეს.
როგორც სტატისტიკური
მონაცემებიდან ირკვევა, სხვაო-
ბა შარშანდელ შესაბამის პერ-
იოდთან შედარებით თანდათან
მცირდება, მაგრამ უნდა ით-
ვებოდეს ისიც, რომ მანქანურ კრე-
ფაში არ არის გამოყენებული

მთელი შესაძლებლობა და
მდგომარეობა არასაბარბი-
ლია. 18 აგვისტოსათვის მობი-
ლური მანქანებით და ხედიით
საერთო ამარაბით დაშვებულ-
ულია 14.344 ტონა ჩაის მწვანე
ფოთლოლი, ანუ წლიურე გეგმის
29,8 პროცენტია.
სეზონის დამთავრებამდე ცო-
ტა დრო დარჩა. ახლა მოაგა-
რია მანქანული და გამოყენე-
ნით ჩვენს გაწყობულებში
არსებული რეზერვები, არ და-
ვტოვოს მუშავე საკრეფოდ
შემოსული არცერთი დუფი და
დროზე უზრუნველყოფოს ხარ-
ისხვანი ჩაის მწვანე ფოთლის
კრეფის წლიური გეგმა-დავა-
ლების შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის პირველ მდივანს, საქართველოს
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბ. ბ. გუმბარიძეს

ასლი: საქართველოს სსრ პრეზიდიუმის
ბ. ბ. რაზმაძეს

ასლი: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს
ბ. ა. შარაშენიძეს

ასლი: საქართველოს სსრ უმაღლესი
სასამართლოს თავმჯდომარეს
ბ. ბ. კარანაძეს

ასლი: საქართველოს კვ. ზუგდიდის საკლასო
კომიტეტის პირველ მდივანს, საკლასო და
რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
ბ. ი. გუნაშას

გარდაქმნა, ხაზრობა, დე-
მოკრატიამ, მიხედვით გამოდინა-
რე დისციპლინის მოშლამ, კა-
ნონების იგნორირებამ კრიზის-
ულ მდგომარეობაში მოყვანა
მთელი ქვეყანა.
ტრანსპორტზე, წარმოება-და-
წებებულულებში დისციპლინის
მოშლის შედეგად იღუპება
მრავალი ათასი ადამიანი.
ეროვნებათშორის შუღლში და
მტრობაში, ხოცვა-ჟლეტაში მანი-
ური ხასიათი მიიღო.
რეგისტრირებულ და არარე-
გისტრირებულ დანაშაულებას
რაოდენობამ კოლოსალურ ცი-
ფრებს მიაღწია.
უფლებებ-და იარაღური
საზოგადოებრივი წესრიგის და-
შვებითი მილიციის მუშაკთა
უმოქმედობის შედეგად განში-
რდა თავდასხმები თვით აღმი-
ნისტრაციული ორგანოების მუ-
შაკების მიმართ, აღმინისტრა-
ციულ შენობაშიც, რამაც მრავ-
ალი მუშაკის სიცოცხლე იმსხ-
ვერბა და ღარბული შენობე-
ბით მიუყენებელი წარადი აუნა-
ზღაურებელი ხდება.

სასაქონლო ურთიერთობებში მოიცვია
ახა მართა პატიოსანი მშრომ-
ელი ადამიანები, არამედ მათი
ინტერესების დაცვით აღმა-
ნისტრაციული ორგანოების მუ-
შაკები.

„ჩემი მილიცია მუშაკებს“
წავლავ, თვითონ მილიციის და
სასამართლო პრეზიდიუმის
მუშაკები ხდება დასაცავი.
საქარობაში და დემოკრატიამ
განსაკუთრებით ველური ფორ-
მები მიიღო დასავლეთ საქარ-
თეთლოში. ბოროტმოქმედთა
თუ დაწინაურებულთა თავბრ-
ვობაში გაუგონარ ზღვარს მიაღწია.

საუღავებიდან მკვდრების
ამოთხრით, სახლ-კარის გადაწ-
ვით, ოჯახის წევრთა აწიოკე-
ბით, პარტული, საბჭოთა და
აღმინისტრაციული ორგანოე-
ბის მუშაკებზე მასიური შემოტევე-
ბით და კარების აგვიფთვ-
ხდება კანონებზე რეაგირება,
ხოლო კანონების ახე უნდა
დამრღვევი არც ერთი პირი არ
დასჯილა, რის შედეგად ზოგიე-
რთი კატეგორიის დანაშაულებას
უმრავლესობაზე განაჩენების
დადგენა ხდება კანონის დარ-
ღვით.

მკვლელობის, გაუპატიურე-
ბის, განსაკუთრებით ავტოსაგ-
ზაო შემთხვევების საქმეებზე
თვითონ დაწინაურებულებს წინ-
ნასწარ გამოავტო სასჯელი და
მათი უკანონო მოთხოვნების
შეუსრულებლობის შემთხვე-
ვაში პარალიზებულია სასამარ-
ტლო — პრეზიდიუმის მუშაო-
ბა.

ცენტრალურ წამოსროლილმა
ჯოუნგმა „დავლენიე სწიწუ ი
სვერბუ“, აქედან გამომდინარე
თქვენმა მოთხოვნებმა, — დი-
ლოგებით, ხაზრებით და რჩე-
ვა-დარბევებით საერთო ენის
გამონახვის შესახებ მომრიგე-
ბულ მოსამართლეთაზე გვაქცია.
რამდენი მილიციის მუშაკის
სიცოცხლე შეიწირა შემოდან
წამოსროლილმა ამ თავაშვებულობ-
ამ, კლავენ პრეზიდიუმის და
მოსამართლეთებს. აყენებენ მათ
ფიციურ და სიტყვიერ შეურა-
ცხვოვას. ქალაქებში ფოთში,
ცხაკაში, ზუგდიდში, წალენ-
ჯიხაში და ვინ იცის კიდევ სად,
მომხდარმა თავდასხმებმა და ამ
თავდასხმების ყველდღიური
მუქარით აღსრულების მოლო-

დინმა გვიძულა მოგმართოთ
თქვენ თხოვნით და მოთხოვნით,
სანამდე უნდა ვიყოთ ასე შეიხი-
და ყველდღიური თავდასხმე-
ბის მოლოდინში? სანამდე უნ-
და იყო ჩვენი და ჩვენი ოჯახის
წევრების სიცოცხლე და ქან-
რთლობა ყველდღიური ხელ-
ყოფის მოლოდინში? რაში
გპირდებით ასეთი უფლებო,
დაშინებული და დამფრთხალი
საზოგადოებრივი წესრიგ-ს
„დამცველი“ აღმინისტრაციული
ორგანოები. ხომ არ აქონებდა
საერთოდ გაგუქმებინათ ეს
მრავალათასიანი ორგანოები და
მათზე გამოყოფილი მილიარდ-
ობით მანეთები ჩაგვეყენებინათ
ხალხის სამსახურში, რომელიც
აღბათ ღინის კანონებით და-
ცავს თავის უფლებებს.

შემოთ აღნიშნულიდან გამ-
ომდინარე ვაცხადებთ პროტესტს
ქალაქ ფოთში და სოფელ
შომხდარ ფაქტებთან დაკავში-
რებით და მოვითხოვთ ყველა
დამნაშავეთა მკაცრ დასჯას.
ვაცხადებთ, რომ ჩვენს მიერ
არ იქნება განხილული არც ერ-
თი საქმე, სადაც მოსალოდნუ-
ლი იქნება შემოქმედება სასარ-
თალდამცავი ორგანოების მუშ-
აკების მიმართ.

სახალხო მოსამართლეთების
უშიშროების დაცვის მიზნით
მოვითხოვთ ცეცხლსასროლი
პისტოლეტების გაცემის და
ტარების უფლებას, აგრეთვე
სასამართლოს შენობებში მილი-
ციის საგუშაგოების გახსნას.
იმ შემთხვევაში თუ კი ჩვენი ამ
მოთხოვნების — სასუსხოდ შეეც-
დებით ჩვენს მიმართ ე. წ. სათა-
ნადო ზომების მიღებას, მივმარ-
თავთ ჩვენთვის მიუღებელ აქ-
ციებს.

ამასთან, ვინაიდან მოხდა ქ.
ზუგდიდის და ზუგდიდის რაი-
ონის აღმინისტრაციული და
აქედან გამომდინარე შს საქალა-
ქო და რაიგანყოფილებების გაე-
რთიანება და შს ზუგდიდის სა-
ქალაქო განყოფილებას არა
აქვს იმის შესაძლებლობა, რომ
ერთდროულად ოთხი მოსამარ-
ტლის მიერ დანიშნულ საქმეებ-
ზე უზრუნველყოფს პატიმრების
გადმოყვანა, წესრიგისა და უშ-
იშროების დაცვა, მოვითხოვთ
ქალაქისა და რაიონის სახალხო
სასამართლოების გაერთიანებას.
ზუგდიდის რაიონის სახალ-
ხო მოსამართლეთები:
ნ. არმანი, ნ. არმანი.

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

რევიზია

მოდინილი, საკუთარი კოლ-
ორიტის მქონე ჩვენი ქალაქი.
მართალია, ამ ბოლო ხანებში,
მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-
რესის კვალობაზე მის წინ
არაერთი მწვავე პრობლემა
ჩვენს თავს, მაგრამ არც რეალ-
ობის დაუნახაობა გვმართებს.
ადგილობრივი ხელმძღვანელი
ორგანოების, სამეურნეო ორგ-
ანიზაციების ერთიანი მოწადი-
ნებითა და ფართო მოსახლეობ-
ის მხარდაჭერით ცალკეული
საკითხები გვარდება. შედარე-
ბით უფრო მოწესრიგებული
ხდება საქალაქო მეურნეობის
პარალელური კვანძები, სოც-
იალური ინფრასტრუქტურის
პრობლემები. ქალაქის სოცია-
ლურ-ეკონომიკურ და კულტურ-
ულ განვითარებას ქვეყნებ-
დად ედება ახალი გენერალური
გეგმა, რომელშიც გადარჩით
უნდა გამოირიცხოს ამ პროცეს-
ის მართვაში თვითნებობა,
სტიქიურობის, არაკომპეტენტ-
ურობის მოშენებები, ერთი სიტ-
ყვით, ზუგდიდი დღითი-დღე,
თანდათან სახეს იცვლის. იჭ-
რება ახალი ქუჩები, გზები,
შენდება სკვერები, გაზონები,
გეგმიურად ტარდება დაწინა-
დებული გზების კეთილმოწყობის,
აღდგენის სამუშაოები, მაგრამ
როცა ქალაქის გარეგნულ იერ-
სახეზე, მის ესთეტიკურ ანტი-
რეჟიმზე ვფიქრობთ, ბევრი რამ
ეკალივით გვესობა თვალში,
უსიამო შთაბეჭდილებები გვე-
უფლება. და ამის გამომწვევი

მიზეზი ყოველთვის რაციონალ-
ური ორგანოების უმოქმედობ-
აა და მოუხდომებლობაში რა-
დია საძიებელი. სხვა დროსაც
გვითქვამს და ახლაც გამოერება
გვიწევს: ქალაქის ზოგიერთი
მოსახლის უპასუხისმგებლობა,
კულტურისა და შეგნების დაბ-
ალი დონე, ცალკეულ შემთხ-
ვეებში გაუგებარი სიჯიუტე
და თავაშეხელობა ყოველნა-
ირ საზღვარს სცილდება. და
ესეც აბრკოლებს საკითხების
მოგვარებას. თუნდაც სანიტარ-
ულ-ჰიგიენური რეჟიმის კუთხ-
ით შევხედოთ პრობლემას. გუ-
ლზე ხელი დავიდოთ და ვაღი-
აროთ: ხომ გვიძევს ღომის წი-
ლი მშობლიური ქალაქის ვაბი-
ნძურებაში. და ქალაქი, ჩვენი
საერთო ოჯახი რომ საკუთარი
ქუჩიდან იწყება, არც ეს გაუხ-
დია ვინმეს საკამათოდ. მაშ, მო-
დით და ერთხელ კიდევ გავა-
დევნოთ თვალი ქუჩას, მის
ტროტუარებს, წყალსაწრეტ
თხრილებს. რამდენ ნაგვის ზეინს,
ან სამშენებლო მასალების გო-
რებს ნახავ ჰიშკრის წინ, ზედ
ქუჩის კიდეზე აღმართულს.
ფხვს წამოყრავ ორმოებში ჩაყ-
რილ ბაღახს, თხრილიდან ამ-
ოტანილ სიბინძურეს. აბა, გვე-

მივხედოთ ამ პრობლემას
კადრება ასეთი რამ? საკუთარ
თავში ჩაინდფოთ და გამოტყ-
დით: რომელიმე თქვენგანმა
„გარისკეთ“ და მიუთითეთ ამ-
ის ჩამდენ მეზობელს? სხვათა
ქში და მასთან დაკავშირებული
რიგი პარადოქსული სიტუაციე-
ბი და აბსურდულობის ფაქტები.
ეს სფერო ჭრჭერობით უმარ-
თავია. სახელმწიფო ავტონის-
პექციის ძალისხმევა თავჩენილ
პრობლემებს ვერ ხსნის. ისმება
კითხვა: რატომ? მნიშვნელოვ-
ანწილად იმიტომ, რომ თვით
მოქალაქეების დამოკიდებულე-
ბა, ქვეყნის მოტივებია შეტწი-
ლად აუხსნელი, ლოგიკას მოკ-
ლებული. ზოგი თავნება პირი
რატომაც იქ გადაჭრის ქუჩას,
სადაც მისთვის უფრო მოსახ-
რებელია. ყველაზე, ყოველი
ფხვის ნაბიჯზე ავტონისპექტო-
რი ხომ არ დადგება. რატომ არ
უნდა იქდეს შენში, მოქალაქე-
ში შინაგანი ტენზორი, რომელ-
იც ამის ნებას არ მოგცემს. თუ
ნამდვილი პატრიოტი ხარ შენი
ქალაქისა, მოძრაობის წესებს
პატივს უნდა სცემდე. ნუ შიჩ-
ნევ ამხს წვრილმან საკითხად,
რამეთუ ამნაირი წვრილმანებლ-
ან შედგება ქალაქის კულტურუ-
ლი იერსახე.
ბევრჯერ გვისაყვებურია და

ემატება ქალაქს. გელოგიური
საფრთხე კი ნაწილობრივ მაინც
განეიტრალდება.
ავილოთ ტრანსპორტის მოძ-
რაობის დინამიკა ჩვენს ქალა-
ახლაც გავაუთოსილოთ გვიდა-
ის მდლოები, ვინც თვითდა-
ციალინისა და წესრიგის ელვ
შენარულ ნორმებს აბუსაჯ
რგდებს და გზები და გზაჯარ-
ედიწები თავისი ქვეზარმობე-
ბის სარბილად მიუჩნევა
სწორედ ამაღვარი ბედოვლათე-
ბის წყალობით დღემდე კვე-
გს ქალაქის მუდრობებს სი-
რენების გამაყრებელი ხმა-
რი. არც ავტომობილთა და
დაშენებულან. დღისით, მშის-
ით შეკრებილი ხალხის თვლ-
წინ რაკეტასავით გააქროლებ-
ენ მანქანას, მტვრის ბულს
დააყენებენ. ზოგი ახალგაზრ-
ის თავს ელბა უფრო შორსაც
მიღის: წელს ზემოთ გატატ-
ლებულნი უზიან საჭეს. ზოგე-
სალონში ფეხბაშეკრილინი გა-
წვენიან და ისე მგზავრობენ.
სასაცილოა ყოველივე ეს, სატი-
რალი რომ არ იყოს.
რაც არ უნდა ინტენსიური
მუშაობა ჩატარდეს ქალაქის
კეთილმოწყობად, რამდენი
შენობა, თუ სკვერი არ შემა-
ტოს მის საერთო არქიტექტუ-
რულ ანსამბლს, ქალაქის პრე-
ტივი ვერ ამაღლდება. მის სა-
ხელს და ღირსებას მხოლოდ
აღამინათა ქცევა ამაღლებს.
ეს გახლავთ უღამო ქვეშობრტე-
ბა. და სანამ ამას ღრმად არ
შევიგნებთ, მანამ ჩვენი ქალაქი
ვერაფრით ვერ ჩადგება კულტ-
ურულ, ცივილიზებულ რეგიონ-
თა რიგებში.
ღრმად გავაცნობიეროთ ეს
ჩვენი თანამემამულენო!

დაეკითხე თავს: როგორ
ვიქცევით?

ინტერვიუ აბტუალურ თემაზე

შეაბრეშუშებო — ეს უძველესი ღარგი, იყო და რჩება ეკონ-
ომიკის გაუმჯობესებას წყაროდ. ზუგდიდში აბრეშუმის, პარკის
წარმოების არასტაბილურობა მრავალი ფაქტორითაა განაირო-
ბებული, ამიტომ რამდენიმე კითხვით მივმართეთ რაიბრეშუმის
უფროსს ბიორბი მელაძეს:

ბ. მელაძე: ადრინ წლებში
ბერძენი ანესტი პეტრიდისი სა-
კუთარ ოჯახში აწარმოებდა
გრენის რეალიზაციას, რომელ-
იც მას ჩამოჰქონდა სხვადასხვა
ქვეყნიდან. აწარმოებდა მის
მიკროსკოპულ გასინჯვას, გრე-
ნის დაავადების სალივიდაცი-
ოლ. ანაწილებდა პაკეტებში და
ფერცლებდა მოსახლეობაში.
ზუგდიდში მოწვეული პარკი
გაქჰონდა საზღვარგარეთის ქვე-
ყნებში, უფრო მეტად გემებით
ანაკლიდან — თურქეთში.

ბ. მელაძე: დიახ. და ეს იმ-
იტომ, რომ იმ დროისათვის ჩაი-
კულტურის არ ქონდა მონო-
პოლია. მეაბრეშუმებით დი-
ნტერესებული მოსახლეობა ოჯ-
ახებში უვლიდა ჭიას, მოყავდა
მისი უხვი მოსავალი.

ბ. მელაძე: რესპუბლიკის
ყველა კუთხეში ამოქმედდა „რა-
იბრეშუმები“, საგრენაო ქარ-
ხნები. ჩვენს რაიბრეშუმს და
საგრენაო ქარხანას წლების

რიკატს აწვდიდა რაიბრეშუმი
ძალსახვევ ფაბრიკებს, და რო-
გორი იყო მისი დამუშავების
პროცენტები?
ბ. მელაძე: რაიბრეშუმი
აწარმოებდა და აწარმოებს პა-

რეობა ამ მხრივ და რას აღწევს
მეცნიერება მის დაავადებათა
თვითდასაცილებლად?
ბ. მელაძე: ჩვენთან ხარობდა
ბუნებრივი, მეტად მდგრადი
„ტატარიკას“ ჯიშის თუთა, რომ-

ლილი შრომისა და ჭაფის შედ-
გვად იყო მიღებული, არ ეწერა
გახარება. ირად 1964 წლიდან
ყოველწლიურად გამოყვინლ
ათასობით ნერგის ნახევარსაც
რომ ეხარა, დღეს საბოლოოდ
გადაწყვეტილი იქნებოდა თუ-
თის პრობლემა.

გზა ეკონომიკური აღმასვლისაკენ

მანძილზე სათავეში ედგნენ
ცნობილი აგრონომები: ვარლამ
როგავა, ევგენი უბრიია და
მოღვაწეობდნენ გამოჩენილი
სპეციალისტები, აგრონომები:
ნაბო კუტალია, მარო ნაყუბია,
გალინა ჩახაია და სხვები.

ბ. მელაძე: დიახ. უქირდათ,
ვარლამ როგავას აქვე ჰქონია
თავლა, ყავდა ცხენები და მისი
მომვლელური. ნაგვისსხევი,
რომ ისინი მოძრაობდნენ ცხენ-
ებით და იყენენ მეაბრეშუმეო-
ბის დარგის საუკეთესო პრო-
პაგანდისტები, მრჩევლები.

ბ. მელაძე: ქარხანა ამზადე-
ბდა სპეციალურად პარკს აბრ-
ეშუმის კვლეწარმოებისათვის.
გაჩნდა საჭიშედ წარმოების
ზონები, სააღმანცი იღებდა გან-
საკუთრებული ხარისხის პარკს,
მიღებული თესლი გამოიტყავ-
და ქვის ყოველგვარ დაავადე-
ებს.

ბ. მელაძე: რესპუბლიკის
ყველა კუთხეში ამოქმედდა „რა-
იბრეშუმები“, საგრენაო ქარ-
ხნები. ჩვენს რაიბრეშუმს და
საგრენაო ქარხანას წლების

რკის გამოშრობას, რაც იმას ნი-
შნავს, რომ ცოცხალი ქია უნდა
ჩახმეს პარკში და მას ამზადებს
ამოსახვევად. მეოთხე წელია
გაუქმებულა საგრენაო ქარხ-
ანა და როგორც ითქვა, რაიბ-
რეშუმის ფუნქცია მხოლოდ სა-
მრეწველო პარკის მიღებაა. რა
დასაანია, რომ დღეს გრენი
სხვა ქალაქებიდან ჩამოგვაქვს.
ჩვენი გამოყვანილი თესლი ხშირ
შემთხვევაში იგზავნებოდა სავ-
ქსპორტოლად, ამასთან იგი შე-
გუბებული იყო ჩვენს პირობებს
და დატულ იყო დაავადებეი-
სავან.

ბ. მელაძე: დღეს, როდესაც
მოიპოვო სპარტოვლოს ეკონ-
ომიკური დამოუკიდებლობის-
თვის ბრძოლა ნომერ პირველ
ამოცანად დგას, მეაბრეშუმე
სპეციალისტების აზრით, ადგი-
ლზე გრენის გამოყვანა იქნებო-
და ზუგდიდისათვის როგორც
ეკონომიკურად, ისევე მორალ-
ურად სახელისა და დიდების
საქმე. მითუმეტეს ადგილზე
დამზადებული გრენა გამოირჩე-
ევა დიდი ეფექტიანობით და
იძლევა მეტ მოსავალს.

ბ. მელაძე: მეაბრეშუმეობის გან-
ვითარების წყაროს თუთის კუ-
ლტურა წარმოადგენს. იგი კვლავ
პრობლემად რჩება რა მდგომა-

ელსაც დიდი კვებითი ღირებუ-
ლება ჰქონდა, მაგრამ მისი მო-
ლოება არ იყო ადვილი. შემდ-
გომში, კერძოდ სამოციან წლე-
ბში მასზე დამყნობით წარმო-
ებულ იქნა უხვფოთლიანი ჯი-
შები: „მეგრული“ და „ქართუ-
ლი“, რომლის კვებითი ღირებ-
ულუბა სინესტის შემცველობ-
ის გაიღებინ გამო, საკმაოდ
დაქვეითდა და წარმოიშვა ქვის
დაავადებები.

ბ. მელაძე: თუთის წყრილფოთოლა სიბ-
უჭუჭუმე მილიონობით ძირი ხე
გამოიყვანა მწყობრიდან და
პარკის მოსავალი 360 ტონიდან
დაეცა (1967 წელს) 11 ტონამდე.

ბ. მელაძე: გვიანტერესებს საქარ-
თველოს მეაბრეშუმე მეცნიე-
რთა მიერ გადადგმული ნაბი-
ჯები ავადმყოფობაგამძლე ჯი-
შების გამოყვანის საქმეში?
ბ. მელაძე: მეცნიერებმა შე-
ქმნეს, უფრო სწორად გამო-
იყვანეს ავადმყოფობაგამძლე
„გრუნნი-4“, „ოშიმა“, „ივე-
რია“, რომლებიც შედარებით
მდგრადია. კვებითი ზანის გაუ-
მჯობესებას მოჰყვა პარკის მოს-
ავლიანობის ამაღლება და შან
სეზონში 40-45 ტონა შეადგინა,
მაგრამ რაც საზოგადოებრივ
ორგანიზაციებში თუთა ისევე
„ავი დედინაცვლის“ როლია.
შამგონში არსებული სანერგე-
ლან ყოველწლიურად გატანილ
100 ათას ძირ ნერგს, რომელც

ბ. მელაძე: თუთის პლანტაციების მოვლა
გახარების საქმეში?
ბ. მელაძე: შამგონში არს-
ებულ სანერგის პარალელ-
რად რაიბრეშუმის სპეციალი-
სტების ინიციატივითა და მიწ-
ლომებით, რაიბრეშუმის ტე-
რიტორიაზე მოეწყო სსსპბუ-
რე მეურნეობა, სიდიანაც მიღე-
ბული თესლ-ნერგები გატანილ
იქნა შამგონის ტერიტორიაზე
დასარგავად. მოსალოდნელია
მომავალ წელს დამატებით მიე-
ილოთ თუთის საუკეთესო ნიმუ-
ენი ნერგები, არის ამაში პო-
რეული კატეგორიის აგრონომის
თინა შელის, აგრონომების
ბოჩია ქავას, ცისანა გუჭაბიძის,
ცილა მესხიას, ლამარა ლატარ-
იას და სხვათა წვლილი.
ბ. მელაძე: და მაინც მეაბრეშუმე-
ობას რომელი საზოგადოებრივი
ორგანიზაცია აქცევს მეტ ყურ-
ადებას და ხომ არ გემასსო-
რებათ მეაბრეშუმეები, რომლ-
ებიც პარკის უხვ მოსავალს ამ-
არებენ რაიბრეშუმს.
ბ. მელაძე: მეაბრეშუმეობას
ტრადიციულად არ ლაღობენ
ჯიხაშკარში, ორსანტიაში, ახალ-
ბასთუშანში, ანაკლიაში, კახ-
თში, ნარაზენში. გვყავს ისეთ-
ებიც, რომლებმაც შეამოიკრეს
მოსავლიანობაც. მეაბრეშუმეობა
შორის გამოყვინდი ნარაზენელ
ქრისტინე კვიციანიას, ოქტომ-
ბერელ მუნა შამუგის, გრიგო-
ლიშელ ზინა სამუშისა.
ესაუბრა ბ. აბუშაძე.



მსახიობის მიერ განვლილი გზა...

15 აგვისტოს დაბადებიდან 80 და სცენაზე მოღვაწეობის 40 წელი უსრულდება ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს ვალერიან გუბინინს...

როდესაც მსახიობზე იწყებენ ლაპარაკს ტრადიციულად აღნიშნავენ მსახიობობა მისი ბავშვობის დროიდან იწყება იყო, მას სიზმარში ელანდებოდა სცენური გმირები და ა. შ., მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით იგი სრულად შემთხვევით მოხვდა თეატრში...

1951 წელს დაამთავრა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის საშუალო სკოლა. მამამისი ფოსტის უფროსი იყო, სოფელში საკმაოდ დაფასებული პირი იყო. მისი ოცნება იყო შვილი ფურცლი გახდარიყო და ამ სკოლის დამთავრების შემდეგ გამოცდების ჩასაბარებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისკენ მიმავალი გზა დაულოცა თავის ვაჟს ვალერიანს, მაგრამ ქუჩაში არ იყო და ვალერიანმა იმდენი უკან გამობრუნდა ვინც იცის, როგორ აეწყობოდა ბატონ ვალერიანს მომავალი ცხოვრება, იმდენს თბილისიდან ზუგდიდს ჩამოსულს სკოლის მეგობარი რომ არ შეხვედროდა. მეგობარმა ვალერიანს იმ დროს შეაშინა, როდესაც სოფელში დასაბრუნებლად ისინი იყო სატვირთო მანქანაზე უნდა ასულიყო. (იმ დროს ავტობუსები იშვიათად დადიოდნენ). მათ ერთმანეთი გაეცაოცნეს, ბევრი ილაპარაკეს, ბოლოს მეგობარმა ბატონა—ახლა რას აპირებო რას უნდა ვაპირებდე—წავალ სოფელში და ვიმუშაებ კომპიუტერებაშიო,—იყო პასუხი. სულელი ნუ ხარო—არ ეშვებოდა მეგობარი, თუ გინდა აგერ თეატრში დაგაწყებინებ მუშაობას, მოკარნახის ადგილია თავისუფალიო,—მე იქ საწყობის გამგედ ვმუშაობ და ძალიან კმაყოფილი

ვარო. ბატონ ვალერიანს იმ დროს არაფერი გაეგებოდა თეატრის, ის კი არა, ისიც არ იცოდა საერთოდ არსებობდა თუ არა ზუგდიდში თეატრი. სხვათაშორის გაგებული ჰქონდა პოეტი იოსებ გრიშაშვილი ერთ დროს რომელიმე თეატრში მოკარნახედ რომ მუშაობდა და ამიტომ მეგობრის წინადადება სადღაც მკუთხი დაუტდა...

იმ დღიდან იწყება ვალერიანის ცხოვრება თეატრში სულელიობა თავისებურად საინტერესო სამსახურია, მაგრამ ვალერიანს თვით სულ სცენისკენ გაურბოდა. ამას კიდევაც ამინდებდნენ რეჟისორები და ზოგჯერ მასიურ სცენებში აკავებდნენ, სადაც მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, თავის დროზე ეყვირა „ვაჟა“ და „ურა“... მან შეპირდა იცოდა ყველას რომ, შემდეგ ისე წავიდა საქმე, რომ ხუმრობით „გაპირებების ტალღებს“ ემხდნენ, რადგან თუ რომელიმე მსახიობი ავად გახდებოდა, სასწრაფოდ მის როლზე „შეადგებდნენ“. ვალერიანს აბა მეტი რა უნდოდა.

ნათქვამია: ვისაც ერთხელ მაინც გადაუყლაპავს სცენის მტვერი, თეატრს ვერ მოშორდება... 1958 წელს, თეატრის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ვ. გუბინინის შარდის მსახიობური ნიჭი და მოკარნახეობიდან პირდაპირ მსახიობის შტატში ჩაირიცხა. იმ დროისათვის ზუგდიდის თეატრში მთავარ რეჟისორად მუშაობას იწყებს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შესანიშნავი დრამატურგი გიორგი გაბუნია,

რომელიც დგამს თავისსავე პიესას „შის ამოსვლის წინ“. სწორედ გიორგი გაბუნია თვლის ბატონ ვალერიანს თავის პირველ პედაგოგად, აღმზრდელად, გზის მანათობლად... პირველი როლი, რომელიც ვ. გაბუნია მას მიანიჭა იყო აფრასიმ კუციას როლი სპექტაკლში „შეპირება გრძელდება“. ვალერიანს აძვირად მკაცრი გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და მაშინ საბოლოოდ გადაწყვიტა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თეატრისთვის დაეკავშირებინა. თეატრი და მხოლოდ თეატრი... ბედნიერი ვიყავი, როდესაც ვმონაწილეობდი გიორგი გაბუნია საინტერესო, ცუცხლოვან სპექტაკლებში—ზინორად იგონებს ბატონ ვალერიანს მსახიობ ვ. გუბინინის იმავითვე უყვარდა სახსიათო როლები და დღემდე მისი ერთგული რჩება.

ასევე დიდი მოწინებო იგონებს უსაყვარლესისა და უდიდეს რეჟისორთან ვიქტორ შკუდლიძესთან გატარებულ წლებს, რომლის მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით გამოყოფს „ნაცრქეპიას“ და „მოკლულ მტრებს“.

„მოკლულ მტრებს“—ბალირანის როლის შესრულებისათვის 1955 წლის „საბჭოთა ხელოვნების“ მერვე ნომერში გვიტოხლობთ: მსახიობმა ვ. გუბინინმა ბალირანის როლი კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მას ყველა მონაცემები აქვს მრავალფეროვანი სახეების შესაქმნელად“.

1958 წელს ზუგდიდის თეატრი გასტროლებს მართავს თბილისში. დედაქალაქის მაყურებელს სხვა სპექტაკლებთან ერთად განსაკუთრებით მოეწონა ლ. მილორადას

„კერპ-ჭიუტა“. (რეჟისორი ალ. მაღლაკელიძე), სადაც ბეშტიელას როლის შესრულებით ვ. გუბინინის ნიჭი მთელი სიცხადით გამოვლენდა, რასაც რეცენზენტები ადასტურებდა იმავე წლის „საბჭოთა ხელოვნების“ მე-12 ნომერში.

1959 წელს ლენინური კომპაგვირის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ თეატრალური კომპეტაციების დათავლიერებაზე ლ. მილორადას პიესა „კერპ-ჭიუტაში“ ბეშტიელას როლის საუკეთესო შესრულებისათვის ვ. გუბინინი დაჯილდოვებულ იქნა ფასიანი საჩუქრით და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, რომელსაც ხელს აწერდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა დღევანდელი მინისტრი დედად შევარდნაძე... იმ სიგელს ბატონი ვალერიან დიდი მოწინებოთ ინახავდა მანამ, სანამ ამ რამდენიმე წლის წინ თეატრის გვერდით მდებარე მსახიობთა სახლს, სადაც ოჯახით ცხოვრობდა, ცოცხლო არ გაუჩნდა და სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად ის სიგელიც არ შეიანთქა...

გადიოდა წლები, ფართოდებოდა მისი გონებრივი მორიზონტი, სულიერი ინტერესების წრე... დროის ამ მანძილზე ბევრჯერ უწვიმია გამარჯვება და მიუღია ყველაზე დიდი ჯილდო—მაყურებლის ტაში. რა თქმა უნდა, ზოგჯერ სიმძლეებიც ყოფილა, ხელოვანის გზა ყოველთვის როდია ვარდ-ყვავილებით მოფენილი...

მრავალფეროვანია ვ. გუბინინის მიერ განხორციელებულ სახეთა გაღერება. მონაწილეობა მიუღია 100-ზე მეტ სპექტაკლში, სადაც მსახიობს ადგილოვანების, სიამაყისა და სიხარულის

განცდა თან სდევდა შუღლი.

მსახიობ ვ. გუბინინის მიერ წარმოღვენილი როლების უმრავლესობა მხატვრულად მაღალ დონეზეა შესრულებული, გათამაშებულია დიდი გულწრფელობით, მას აქვს საოცრად მხატვრული თვალთახედვა, ემარჯვება კემპარიტი ცხოვრების სცენურ ფერებში დამაჭერებლად, ოსტატურად წარმოსახვა. მის სახეებში არ არის არცერთი შედგენილი ნიუანსი.

მიმდინარე წლის სეზონის ბოლოს ვ. გუბინინამ ვ. ო. ლენინის საოცრად ხაინტერესო სახე შექმნა რ. მიშველიძის „ნგრევასში“... ვისაც ნანახი აქვს ლ. მილორადას „კერპ-ჭიუტაში“ ვ. გუბინინის მიერ შექმნილი ბეშტიელას განუმეორებელი სახე, დამეთანხმება, თუ რამხელა კონტრასტია ბეშტიელასა და ლენინის სახეს შორის. სწორედ ეს არის კემპარიტი ხელოვანის დამახასიათებელი.

ვ. გუბინინი თეატრში წყაფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის წარადგენილია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებაზე. დღევანდელი თეატრი ყოველი შემოქმედისაგან სულიერად და ფიზიკურად ენერჯის მაქსიმალურ ხარჯვას, თეატრისათვის ფანტატიურ თავგანწირვას მოითხოვს. ზუგდიდელი მაყურებელი ობიექტური და სამართლიანია, მას უყვარს თავისი მსახიობი, რომელიც ასე ახალგაზრდული ენერჯით კვლავ ემსახურება საქართველს.

როსე თირაძე,
ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის მმართველი.

რედაქტორი
პ. ზანტაძე

მეუღლე ნანა. დედა გული. შვილი ვლადიმერ, ძმები: გელა, ზინა. ბიძები ვალერი, ხოთო ბერულავები, ვალერი სიხარულიძე, სიღვრი ნაზო, სიმამრი კოტე. ცოლისდა ღარეჯანი, ცოლისძმები: ოლეგი, ზინა ჩიტეიშვილები. ბიძოლები: ნანული, ნუცა, შუშუპა, რამდენიმე მამა, ინგა, მზია. სიძე ნუგზარი ფარცვეანი, ბიძაშვილები: ლელა, გია სიხარულიძეები. ვასო, მზია, თენგიზი, გურიელი, ნატო, მია, ყორყი, ვალია. მართლმადიდებელი ბერულავები ოჯახობით იუწყებიან

გახა ნუნუს ძე ბერულავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 აგვისტოს, გამოსვენება 18 აგვისტოს ქ. ზუგდიდი, კომპაგვირის ქ. 35.

შვილები ეთერი, ნოდარი და რაისა: მამა ვალერი მამფორია, რძლები: ცილა, ნორა, ვარდო, ლალი, მანუი ყორყი, შვილები: მელონი, ლაიტო როგავენი, შვილიშვილები: ნატო, ელისო, მარინა, დემურა ნუნუ. სიძეები: ავაგი აკობია, გურამი ჯაბუა, დემურა ფიფია, კოტე ქვარაია, შვილიშვილები: ლევანი, სალომე, მონიკა, სოფიკო, ნუკრი, ზვიადი, მურადი, მზახლები ლილა, ილიკო შენგელიძეები, დისშვილები, მისისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

მინა (ნადია) კოსტან ასულ მამფორია-როგავეს გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 აგვისტოს. დაკრძალვა 18 აგვისტოს სოფელ დარჩელში (კაროვი).

მეუღლე ეთერი, შვილები: მაჩვალა, მადონა, მანანა, ნატო ქეთო, ბესიკი, დები ნათელა, ნელიკო, მამა ყორა, სიმამრი ჯაგა, ცოლისძმები: ფუშა, ბედნიშა, ცოლისძმები: ველოდი, მამია ფარცვენი; რძლები: ნუცა, ირმა. სიძეები: დულდინი ლაზარია, ბესა იოდუა, ჯონი ცინცაძე, გოგი კევალიშვილი. მზევარი ახალაია, აპლონი ბებია, თენგიზი ხაჩაურია. დისშვილები: მზია, ალა, ლიანა, ციური ლაზარები, თინა, მიშოხა. ტარელო. შოთა თოდუბანი, მისიშვილები ომიკო, თემური, კლარა. მარინა. ბიძაშვილები: კოტე, რეზო ხაფავენი, ნაზო. ჯიმშერი ხუბუბი, შვილიშვილები, ქვისლები. ახლო ნათესავები იუწყებიან

მალეკო თეოდანეს ძე ხაფავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 აგვისტოს. დაკრძალვა 18 აგვისტოს სოფელ განწუხურში.

შვილი თემური, შვილიშვილები: თეა, ნინო. მამუკა: დათო, ზაზა. სიძე კოსტა ხვისტანი, რძალი რაია. მისიშვილები: შალვა, ვახტანგი. შამუკო. დისშვილები: გერგასი, ქეთო. ბიძაშვილები: ვატი, ყორა, ლადო. შამილი ოჯახობით იუწყებიან

დავით თემურაზის ძე დაღვანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 აგვისტოს. დაკრძალვა 18 აგვისტოს კლდიაშვილის ჩიხი 7.

დედა ნათო. მამა ნოე გეგეჭკორი. ძმები: გურამი, ლინორი, როლონი, როინი, როზინი. რაული გეგეჭკორები, რძლები: ლედი, მზია, ნინა, მარინა, ნინო, მანანა გეგეჭკორები, მისიშვილები: დათო, ბონა, ირაკლი, ზავერი, ლეკა, ეკუ, საშა, ქრისტინა, რუსლანი. სოფო, ლაშა გეგეჭკორები, მამიდა მამადა გეგეჭკორი, ბიძები: ვასო გეგეჭკორი, ტიტეკო მესხი, ნუგზარი, იტრა, თამაზი ქარჩავენი, მამიდაშვილები ნანული, გაბედავა, ძაჭუ, ნორა, შუშუპა, მარო როგავენი, დეიდები: ჯანი, გოგონა, ქორდიკო, ნაზო. ბიძაშვილები: ჯენერი, ჯემალი, ციკო, ფაციკო. ქეთო გეგეჭკორები. დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

რაჯი ნოეს ძე გეგეჭკორის გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17, 18 აგვისტოს. დაკრძალვა 19 აგვისტოს ფრთაში.

მამა ვოვა, რძლები: ლულუ, ფაცხუ, მისიშვილები: თემური, დევიკო, ბესიკი. გია ცხადიებე ოჯახობით იუწყებიან

ალექსანდრა (შურა) გიორგის ასულ კვარაცხელია-კლანდიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 აგვისტოს წალენჯიხაში, გამოსვენება რბიქის ქ. 8.

ომისა და შრომის ვეტერანი საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება დიდი სამამულო ომის ინვალიდის

ფილიპე ქიბარის ძე ქითანავას გარდაცვალებას და თანაგრძობის პანაშვილის ოჯახს.

მეუღლე პუსია. შვილები: დოდო, ბადრი, უსუპი. ძმები: ტარიელი, შახი, დები გოგუტა, ოლია მარგო, შურა, რძლები: გელისა, ნატო, ნანული, ვალიანა, სულიკო, სიძეები: გრიშა ქედი, კირილე შონია, ვარლამი შამათაია, ლუდუკო ზარქუა. სიღვრი ნახტია, მისიშვილები: ჯამბული, ნონა, რუსლანი იგლოი ჯიქიები, დისშვილები: იგორი, ქეთო შამათაიები, ტრისტანი, გოგი შამუგაიები, ვიტალი, ლარისა ზარქუები, დეიდა ფედოსია, ბიძა ვლადიმერ ბოლუა. მამიდაშვილები მინა, ლულა ჭილაძეები, ცოლისძმები: ფაცია, ლეილა ფიფიები. ქვისლები არგელოდი მირცხულავა, ვაჟა ქედი, შვილიშვილები ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

მეუღლე შაფათის ძე ჯიქიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16, 17 აგვისტოს. დაკრძალვა 18 აგვისტოს კოლხიდაში.

შვილი ბონდო, რძალი ყუნა. შვილიშვილები ნატო, მანანა, ნინო, გორა, სიძეები რეზო არქანი, თენგიზი მამფორია, თემური ფარცვეანი, რძალი მანანა ბულია შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსი პეტრეს ძე სამუშია. დაკრძალვა 18 აგვისტოს სოფ. ლიაში (წალენჯიხის რაიონი).

შვილები: თენთუშა, ნინო, ლა ცვარია. ძმები ინდიკო, ხუტუ ნარმანიები, ბიკოლა გენი ნარმანია, შვილიშვილები: ნანა, ზენია კვარაცხელიები. შვილიშვილები: სოფიკო, ზაზა ახალიები, ელიტა რანავა, გიგა, გოგა კვარაცხელიები სიძეები: გვაძი აკობია, ომეგი კვარაცხელია, კოტე ზენია, ზაურა ახალია. პაატა ერანავა, რძლები: ლენა, გოგო, მეგარი ირმა, ცოლისდა ქეთო ქანტურია, დისშვილები: ნარგინა, როზა, ლეოზა, ინგა, მერაბი, ბაჩუკი აკობიები, მისიშვილები: ცინციკო, ცილა, ნანა, მადონა, ინგა, გენალი, ბესიკი, ჭაყუ, მერაბი, დავითი ბესიკი ნარმანიები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

საშა (ალექსანდრე) თემურაზის ძე თორდაას გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 აგვისტოს. დაკრძალვა 18 აგვისტოს ს. კოკში.

გაბრიელისა და სასკვების სამართავლოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

ფილიპე ქიბარის ძე ქითანავას გარდაცვალებას და თანაგრძობის პანაშვილის ოჯახს.

И Н Д Е К С 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. № 52 ჯილდოვანები: რედაქტორის — 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 4-35-89, პასუხისმგებელი მდივანი — 2-81-98, სოფლის მეურნეობის განყოფილების — 2-21-78 მშრომელთა წერილების — 2-25-12, ხალორედაქციის — 3 47 88

საქ. სსრ ბეჭდვასახომის ზუგდიდის ტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000, შეჯ. №3653